



საკანონმდებლო სიახლეების

ცნობარი

(2020 წლის დეკემბერი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2020 წლის დეკემბრის თვეში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანება №299/166

2020 წლის 10 დეკემბერს „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ნებართვის მფლობელ პირთა მიერ სანებართვო პირობების შესრულების შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 14 დეკემბრის ერთობლივ ბრძანებაში №611-№1013 განხორციელდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„მ) ორგანიზატორს გააჩნია თუ არა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის მიერ შედგენილი ვიდეომეთვალყურეობის სისტემების დამონტაჟების დამადასტურებელი აქტი;“.



2. მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ვ) ნებართვის მფლობელს გააჩნია თუ არა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის მიერ შედგენილი ვიდეომეთვალყურეობის სისტემების დამონტაჟების დამადასტურებელი აქტი;“.

ზემოაღნიშნული ბრძანების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>, სარეგისტრაციო კოდით: 190040000.22.033.017404

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2020 წლის 11 დეკემბერს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანება №17

2020 წლის 30 დეკემბერს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანება №17-ის საფუძველზე დამტკიცდა „მცურავი საშუალებებისთვის განკუთვნილი დოკის ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელებისა და დოკზე მუშაობის წესი“. ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული დოკზე მუშაობის წესი განსაზღვრავს საქართველოში კერძო ან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მცურავი საშუალებების სარემონტო სამუშაოებისთვის განკუთვნილი დოკის ტექნიკური ექსპლუატაციის, რემონტის, მომსახურეობის და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების წესს.

წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული დოკზე მუშაობის წესი დეტალურად განსაზღვრავს, მცურავი დოკის შემოწმების სტანდარტს, მშრალი დოკის, სლიპის და ელინგის შემოწმების სტანდარტს, საბუთების მინიმალურ მოთხოვნებს, დანადგარების მოწყობილობების ტექნიკური ექსპლუატაციის და კონტროლის უზრუნველყოფის მინიმალურ მოთხოვნებს, მცურავი დოკის ტექნიკური ექსპლუატაციის პირობებს,



მცურავ დოკუმი დაწესებულ ზოგად აკრძალვებს, მცურავ დოკუმი გემების გაჩერების ზოგადი მოთხოვნებს, დოკუმი სამუშაო პირობებს, დოკუმისტერის უფლებებსა და ვალდებულებებს და სხვა იმ რელევანტურ პირობებს, რომელიც დაკავშირებულია დოკთან მუშაობასთან.

ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული წესის დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>, სარეგისტრაციო კოდით: 310020000.55.067.016126

აღნიშნული ბრძანება საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდზე გამოქვეყნდა 2020 წლის 31 დეკემბერს. წინამდებარე წესით დადგენილი მოთხოვნები საქართველოში არსებულ მცურავ დოკზე გავრცელდება გამოქვეყნებიდან 90-ე დღეს და ცალკეულ შემთხვევებზე, წინამდებარე წესის 21-ე მუხლით განსაზღვრული ვადების შესაბამისად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №326

2020 წლის 30 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №326-ის საფუძველზე, რიგი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში.

ზემოაღნიშნულმა ინსტრუქციამ განიცადა ფუნდამენტური საკანონმდებლო ცვლილებები, მათ შორის კი უნდა გამოიყოს რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება და დამატება. ცვლილება შეეხო ინსტრუქციის 46-ე მუხლს, რომელიც არეგულირებს დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის პირობებს. ასევე 47-ე მუხლს, აღნიშნული არეგულირებს დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების პირობებს, ინსტრუქციაში ფუნდამენტური ცვლილებები განიცადა XVIII-ე თავმა, რომელიც უკავშირდება დღგ-ის ჩათვლას.



ინსტრუქციას ასევე დაემატა 47¹-ე მუხლი, რომელიც არეგულირებს უცხოელი დასაბეგრი პირის მიერ რეგისტრაციის გარეშე დღგ-ის გამოანგარიშების, ბიუჯეტთან ანგარიშსწორების და მისი ინფორმირების წესს. მნიშვნელოვანი დამატებაა 48²-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ცალკეული დასაბეგრი ოპერაციების შემთხვევებს, რომლის დროსაც არ გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 163-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესები.

გარდა ცალკეული მუხლებისა, ინსტრუქციას ასევე დაემატა XII¹ თავი, რომელიც განამტკიცებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 160-ე მუხლის მე-7 ნაწილის გამოყენების პირობებსა და წესებს, ასევე დაემატა XII² თავი, რომელიც არეგულირებს ვაუჩერის მეშვეობით განხორციელებულ ოპერაციებს. ინსტრუქციის მნიშვნელოვანი დამატებაა XVI¹ თავი, რომელიც განსაზღვრავს ცალკეულ შემთხვევებში დღგ-ით დაბეგვრისა და დღგ-ის თანხის ბიუჯეტში გადახდის წესს, ასევე, XVI² თავი, რომელიც არეგულირებს სპეციალურ სქემებს.

ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე განხორციელებული ფუნდამენტური ცვლილებების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>, სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017418

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 1 იანვარს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №325

2020 წლის 30 დეკემბერს „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში განხორციელდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები. მათ შორის, შეიცვალა ბრძანების 93-ე მუხლი აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით და დაზუსტდა, რომ აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობისა და აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის



გაცემა დასტურდება ბრძანების №VI-01, №VI-02, №VI-03, №VI-04, №VI-05, №VI-06, №VI-061, №VI-062 დანართების ფორმის შესაბამისი სანებართვო მოწმობის გაცემით.

ცვლილებები შეეხო ასევე, შემოსავლების სამსახურის მიერ სანებართვო მოწმობის გაცემის ფორმას, დაზუსტდა რა იგულისხმება სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშანში და რას უნდა შეიცავდეს იგი, ამასთანავე წინამდებარე ინსტრუქციას დაემატა 3¹ პუნქტი, რომელიც არეგულირებს, წამახალისებელი გათამაშების ორგანიზატორის მიერ გადასახდელი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ოდენობას და მისი გადახდის პირობებს.

ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>, სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017417

აღნიშნული ბრძანება, გარდა პირველი მუხლის მე-6 პუნქტისა, ამოქმედდა 2021 წლის 1 იანვრს, ხოლო, წინამდებარე ბრძანების პირველი მუხლის მე-6 პუნქტი ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან.